შპს „მწვანე სკოლა-დიღომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „მწვანე სკოლა-დიღომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება....1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება....3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება....4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.... 5-32

შპს „მწვანე სკოლა-დიღომი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წელი 2023 წლის 31 დეკემბერი	დასრულებული წელი 2022 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები და შემოსავალი	8	7,777	6,097
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(3,977)	(3,070)
მოსწავლეთა კვება		(590)	(427)
კომუნალური მომსახურება		(189)	(193)
საკანცელარიო საქონლის ხარჯები		(113)	(79)
საზაფხულო სკოლა		(102)	–
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი	11	(95)	(74)
საგადასახადო ხარჯი მოგების გადასახადის გარდა		(62)	(40)
რემონტის ხარჯი		(54)	(28)
სასწავლო რესურსები		(22)	(17)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები		(16)	(29)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(272)	(185)
მოგება ფინანსური ხარჯის გაწევამდე, მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე და ცვეთის დარიცხვამდე		**2,285**	**1,955**
ცვეთა და ამორტიზაცია		(276)	(238)
მოგება ფინანსური ხარჯის გაწევამდე და მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		**2,009**	**1,717**
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(125)	903
საპროცენტო ხარჯი	14	(379)	(314)
საპროცენტო შემოსავალი		89	75
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		**1,594**	**2,381**
მოგების გადასახადი	13	(16)	–
წლის მოგება		**1,578**	**2,381**
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**1,578**	**2,381**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „მწვანე სკოლა-დიღომი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	6,962	6,616
არამატერიალური აქტივები		1	2
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6,963**	**6,618**
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		14	89
გადახდილი ავანსები		67	54
სავაჭრო მოთხოვნები	11	679	408
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	1,291	1,242
სულ მიმდინარე აქტივები		**2,051**	**1,793**
სულ აქტივები		**9,014**	**8,411**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	–	550
დაგროვილი დანაკლისი		3,407	2,279
სულ კაპიტალი		**3,407**	**2,829**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები	14	3,434	3,739
გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები აქტივების შესყიდვიდან	8	146	191
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები		11	17
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**3,591**	**3,947**
მიმდინარე ვალდებულებები			
სახელშეკრულებო ვალდებულება	8	1,463	1,012
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები	14	498	505
მოკლევადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები აქტივების შესყიდვიდან	8	45	64
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები		4	1
სავაჭრო ვალდებულებები		6	53
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2,016**	**1,635**
სულ ვალდებულებები		**5,607**	**5,582**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**9,014**	**8,411**

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 8 აგვისტოს:

კახა დავითური
დირექტორი

ბაკურ სულაკაური
დირექტორი

ნანა გვილავა
ფინანსური დირექტორი

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „მწვანე სკოლა-დიღომი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

ათასი ლარი	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დანაკლისი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		**550**	**(102)**	**448**
კაპიტალის ზრდა	13	–	–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		–	2,381	**2,381**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს		**550**	**2,279**	**2,829**
კაპიტალის შემცირება	13	(550)	–	**(550)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		–	1,578	**1,578**
გამოცხადებული დივიდენდები	13	–	(450)	**(450)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		**-**	**3,407**	**3,407**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „მწვანე სკოლა-დიღომი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	2023	2022
მომხმარებლების გადახდებიდან შემოსული თანხა		7,381	5,578
სახელმწიფო ვაუჩერის თანხა		394	349
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხა		(1,273)	(979)
თანამშრომლებისთვის გადახდილი თანხა		(3,973)	(3,168)
მიღებული პროცენტები		82	67
გადახდილი გადასახადები		(82)	(50)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**2,529**	**1,797**
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(709)	(1,034)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(709)**	**(1,034)**
სესხის აღებიდან შემოსული თანხა	14	-	121
სესხის ძირის დასაფარად გადახდილი თანხა	14	(446)	(492)
კაპიტალის შემცირება	13	(550)	-
დივიდენდის გაცემა		(450)	-
გადახდილი პროცენტები	14	(332)	(255)
ფულადი ნაკადები ფინანსური მიღებული		**(1,778)**	**(626)**
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		7	(50)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**49**	**87**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,242	1,155
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		**1,291**	**1,242**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მწვანე სკოლა-დიღომი“ , საიდენტიფიკაციო კოდი: 401959528 (შემდგომში „კომპანია“), არის 2011 წლის 30 ივნისს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. მისი მშობელი კომპანიაა შპს „საქართველოს განათლების ჯგუფი“. კომპანიის საბოლოო მფლობელი და მაკონტროლებელი მხარეა შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“ (შემდგომში „ჯორჯია კაპიტალი“), გაერთიანებულ სამეფოში და ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანია. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა 3ა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პარტნიორები იყვნენ:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სს „საქართველოს განათლების ჯგუფი“	80%	80%
ბაკურ სულაკაური	10%	10%
კახა დავითური	10%	10%
სულ	**100%**	**100%**

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში. საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკური ვითარება და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკაა დაბალი გადასახადებით და რეგულაციებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებზე.

კომპანია ოპერირებს კერძო განათლების ბაზარზე. საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად საქართველოში კერძო სკოლებში დაახლოებით 66,000 მოსწავლე სწავლობს, რაც წარმოადგენს სასკოლო განათლების ბაზრის 10.5% -ს. Galt & Taggart– ის საქართველოს საგანმანათლებლო სექტორის კვლევის თანახმად, საქართველოში კერძო განათლების ბაზარი, საბავშვო ბაღიდან მე-12 კლასის ჩათვლით, გაიზარდა საშუალო წლიური ზრდის განაკვეთით 16% 2013-დან 2019 წლამდე. ამგვარ ზრდას ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა-მოსწავლეთა მიღების ზრდა საშუალო წლიური ზრდის განაკვეთით 3% 2013-2023 წლებში და სწავლის საფასურის ზრდა საშუალო წლიური ზრდის განაკვეთით 9% 2013-2023 წლებში.

საქართველოში შედარებით დაბალია წლიური ხარჯი K-12 (საბავშვო ბაღიდან მე -12 კლასის ჩათვლით) თითოეულ მოსწავლეზე. საქართველოში განათლების ბაზარი ამჟამად ძალიან ფრაგმენტირებულია: ბოლო შვიდი წლის განმავლობაში სკოლების საშუალო სიდიდის ზრდით და 15% -ით ნაკლები რაოდენობის სკოლით ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს განათლების სამინისტროს მონაცემების მიხედვით.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

COVID-19 პანდემია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 გლობალური პანდემია. პანდემიის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები პანდემიის გავლენის შესამცირებლად და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები, მათ შორის საქმიანობის შეწყვეტა. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებობს რისკი, რომ ხელისუფლებამ დააწესოს დამატებით შეზღუდვები 2024 წელს, ვირუსის ახალი ვარიანტების საპასუხოდ.

2022 და 2023 წელს, საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან თავის დაღწევის დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე ხელი შეუწყო გლობალური ეკონომიკის აღორძინებამ და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდამ. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის ოპერაციებზე პანდემიის ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად. კომპანიამ დანერგა დისტანციური სწავლება. 2020 და 2021 წლებში კომპანიის სასწავლო შემოსავალზე გავლენა იქონია კომპანიის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულმა ფასდაკლებამ, რაც პროპორციულია საოპერაციო ხარჯების შემცირებასთან დისტანციური სწავლებისა და გარკვეული სერვისების რეფინანსირების (როლოვერი) გამო.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. კომპანიას არ აქვს რაიმე პირდაპირი კავშირი / ურთიერთობა უკრაინასთან, რუსეთთან და ბელორუსთან. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ომს არ ექნება შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. რადგან ომი ჯერ კიდევ მძვინვარებს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს მისი სრული ზეგავლენა კომპანიაზე, თუ გავითვალისწინებთ გაურკვევლობას მისი პოტენციური ზემოქმედების შესახებ ეკონომიკაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით ადევნებს თვალყურს არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.
მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის გრძელვადიანი შედეგების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინები და შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

კლიმატის ცვლილება. კომპანია დგას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების წინაშე. კლიმატის ცვლილების რისკებთან დაკავშირებით, კომპანიის მმართველობამ გაითვალისწინა გლობალური ცნობიერება და შეშფოთება კლიმატის ცვლილების პოტენციური ზემოქმედების შესახებ. ამჟამად ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. მმართველობა თვალყურს ადევნებს ამ სფეროში განვითარებულ ცვლილებებს და საჭიროებისამებრ მიიღებს ზომებს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარის უზრუნველსაყოფად. კომპანია ასევე გაითვალისწინებს ნებისმიერ სახელმწიფო მითითებას, რომელიც გაცემულია იმ ბაზრებზე, სადაც კომპანია ოპერირებს.

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულების კონვენციის გათვალისწინებით.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-3 შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობს. კომპანიის და მისი შვილობილების სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი. ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან საქართველოს ბანკის მიერ განსაზღვრული სავალუტო კურსით, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, როგორც სავალუტო ზარალი. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის კაპიტალ-ინვესტიციები, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1=2.689 ლარს და 1 ევრო=2.975 ლარს. (2022 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 2.702 ლარს და 1 ევრო = 2.884 ლარს). ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები. ძირთადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ან გაუფასურების ზარალით.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს:

(ა) მის შეძენის ღირებულებას, მათ შორის საბაჟო მოსაკრებლებს და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტებს და სხვადასხვა სახის ფასდათმობებს;

(ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნებადია მუხლის იმ ლოკაციამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რომელიც მისთვის აუცილებელია, რათა იმოქმედოს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით;

(გ) მუხლის დემონტაჟის, ამოღებისა და მისი ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯების საწყის შეფასებას;

(დ) ვალდებულებას, რომელიც კომპანის ეკისრება მუხლის შეძენისას, ან როგორც იმის შედეგი, რომ მუხლის გამოყენება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხორციელდებოდა ამ პერიოდის განმავლობაში მარაგების წარმოების გარდა სხვა მიზნებისთვის;

ხოლო კვალიფიციური აქტივებისთვის, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდა კომპანიის ძირითად სააღრიცხვო პრინციპებთან შესაბამისობაში.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება.. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ყველა სხვა რემონტის და საექსპლუატაციო დანახარჯები აისახება მოგება-ზარალში იმ ფინანსურ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი დარიცხვა.

შემდგომში კაპიტალიზირებული ხარჯები მოიცავს მსხვილ ხარჯებს იმ გაუმჯობესებების და ჩანაცვლებებისთვის, რომელიც ზრდის აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას ან ზრდის მათი ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობას. სარემონტო და ექსპლუატაციის ხარჯები, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, გაწევისთანავე დაირიცხება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში,

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება ისე, რომ ჩამოიწეროს ცვეთის თანხა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით. კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	30-35 წელი
ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	6-10 წელი
ავტომობილები	6-10 წელი
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	6-10 წელი
სხვა	3-10 წელი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ცვეთის თანხა წარმოადგენს ძირითადი საშუალებების მუხლის ღირებულებას მისი ნარჩენი ღირებულების გარეშე. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ მოხდებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მოელის ამ აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების გავლენა პერსპექტიულად აღირიცხება, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში.

აქტივის გასვლის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვების შემოსულობებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა, იგივე საფუძველზე, როგორც სხვა ძირითადი საშუალებების მუხლებს, იწყება მაშინ, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია, ე.ი. მაშინ, როდესაც ისინი იმ ლოკაციასა და მდგომარეობაშია, რომელიც მისთვის აუცილებელია, რათა იმოქმედოს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აკომპანიებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. მათი კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო.

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (“AC”) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *(“ECL”).* დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან

სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების (“POCI”) შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური

ღირებულებით, კორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) რაც გამოიწვევს მყისეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიაში. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აკომპანიებს: რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად. კომპანიის ერთადერთი მიზანია აქტივებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”) წარმოადგენენ თუ არა.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანის აქვს ფინანსური აქტივების ორი ტიპი, რომელიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს- სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებულია ინდივიდუალური შეფასების მიდგომა.

მე-3 შენიშვნა გვაწვდის ინფორმაციას ამოსავალი მონაცემების, დაშვებების და შეფასების ტექნიკის შესახებ, რომელიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ

შორის იმის განმარტებას, თუ როგორ ჩართავს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული („AC“),

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) რადგან ისინი ფლობილია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა

გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად, შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს. ყველა სხვა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები დანახარჯებში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მათი გაწევა მოხდა. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროცენტს და სხვა ხარჯებს, რომლებიც საწარმომ უნდა გასწიოს თანხების სესხებასთან დაკავშირებით.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც: (ა) კომპანია ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული

შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები პროცენტისა და ჯარიმების გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში. კორექტირებები გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობისთვის პროცენტთან და ჯარიმებთან დაკავშირებით აღირიცხება ფინანსურ ხარჯებსა და სხვა შემოსულობებში/ (ზარალი), წმინდად, შესაბამისი წესით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გამომავალი დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე. შემავალი დღგ ჩვეულებრივ ანაზღაურდება გამომავალი დღგ-სგან დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიის შემოსავლების ძირითადი წყარო, კერძოდ საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება, გათავისუფლებულია გამომავალი დღგ-სგან, ყველა შემავალი დღ-ს ანაზღაურების უფლების შენარჩუნების გარეშე. გაყიდვასა და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე და განმარტებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ან ვალდებულებების ნაწილში. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორება.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი მოწოდებულია წინასწარის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაში, არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. გაუთვალისიწინებელი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადაიხდება ხარჯებზე ან სხვა გადასახადებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. შეღავათიანი

საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილი ავანსები და ამ საწარმოებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, აქტივებზე მოთხოვნილი ან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული მომსახურების გარეშე, ან ფიზიკური და არარეზიდენტი პირებისთვის გაცემული სესხების ანაზღაურება აღირიცხება მუხლში ‘გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა’ საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიში შემოვა.

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. კომპანიის სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს. საქართველოს კანონმდებლობა განაწილების საფუძველს განსაზღვრავს როგორც მიმდინარე წლის წმინდა მოგებას.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანის გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

ამონაგების აღიარება. კომპანია საქმიანობს მოსწავლეთათვის სწავლების მომსახურების მიწოდების ბიზნესში.

კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ თანხად, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომლის გადახდასაც კომპანია მოელის, ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

შესრულების ვალდებულება წარმოადგენს განსხვავებულ საქონელს ან მომსახურებას (ან საქონლის ან მომსახურების პაკეტს) ან განსხვავებული საქონლის ან მომსახურების რიგს, რომლებიც არსებითად ერთიდაიგივეა. კონტროლის გადაცემა დროთა განმავლობაში ხდება და ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება შესაბამისი შესრულების ვალდებულების სრული დაკმაყოფილებისკენ მიმავალი პროგრესის გათვალისწინებით, თუ რომელიმე შემდეგი კრიტერიუმია დაკმაყოფილებული:

- მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიის საქმიანობით გათვალისწინებულ სარგებელს, კომპანიის საქმიანობის შესრულებასთან პარალელურად;
- კომპანიის საქმიანობა ქმნის ან აძლიერებს აქტივს, რომელსაც მომხმარებელი აკონტროლებს კომპანიის საქმიანობის შესრულებისას; ან
- კომპანიის საქმიანობის შესრულება არ ქმნის აქტივს კომპანიისთვის ალტერნატიული გამოყენებისთვის და კომპანის გააჩნია ვადაში დასრულებული საქმიანობის შედეგებისთვის გადახდის მიღების იურიდიულად გამყარებული უფლება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

წინააღმდეგ შემთხვევაში, ამონაგები აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს განსხვავებულ საქონელზე ან მომსახურებაზე.

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას მომხმარებელს გადასცეს ის საქონელი ან მომსახურება, რომლისთვისაც კომპანიმა მიიღო ანაზღაურება (ან ანაზღაურება მისაღებია) მომხმარებლისგან.

ხელშეკრულების აქტივი და ხელშეკრულების ვალდებულება, რომელიც ეხება ერთსა და იმავე ხელშეკრულებას, აღირიცხება და წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე.

შემდეგი მოსაზრებები მნიშვნელოვანია შემოსავლების კონკრეტული ნაკადებისათვის:

სწავლების შემოსავალი. კომპანიის ხელშეკრულებას კლიენტებთან ერთწლიანი ვადა აქვს, ავტომატურად გახანგრძლივების ფუნქციით. სკოლას არ აქვს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება და იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ გაახანგრძლივებს ხელშეკრულებას, ჯარიმა არ ირიცხება, შესაბამისად, კომპანიას მიაჩნია, რომ ხელშეკრულების თითოეული გახანგრძლივება ცალკე ხელშეკრულებას წარმოადგენს.

კომპანია მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო პროცესს რამდენიმე მომსახურების ნაკრების სახით, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არეგულირებს, ასევე დამატებით მომსახურებებს, რომლებსაც კომპანიის ხელმძღვანელობა შესაბამისად მიიჩნევს. იმის შეფასების შემდეგ, თუ რა შემავალი რესურსებია საჭირო კომპანიისთვის კომბინირებული ნაწარმის - სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს გაკვეთილებს, გამოცდებს, ტესტებს და შესაბამის მასალებს, ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, გახანგრძლივებულ სასწავლო საათებს. ეს

მომსახურებები ერთდროულად ქმნიან საქონლისა და მომსახურებების განცალკევებულ ნაკრებს, რომლებიც ქმნიან შემოსავალს სწავლების ღირებულების სახით.

სწავლების ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში სწავლის დღეების ზუსტი რაოდენობის გამოყენებით.

შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვაუჩერებს ყველა ლიცენზირებულ სკოლას ურიგებს. წლიური თანხა 0,3 ათასი ლარია თითო მოსწავლეზე და იგი ნაწილდება ყოველი თვის ბოლოს, როდესაც შესრულების ვალდებულება უკვე დაკმაყოფილებულია და შესაბამისი შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები, იქამდე, სანამ კომპანია საქონელზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, აღიარებულია, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებები. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არის კომპანიის ვალდებულებები გადასცეს ის საქონელი და მომსახურება მომხმარებლებს, რისთვისაც კომპანიმა მიიღო ანაზღაურება.

თანამშრომელთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არა-ფულადი სარგებელი (როგორიცაა სამედიცინო მომსახურება) დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანის არ გააჩნია რაიმე სახის იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

ოპერაციები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან. საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან ყველა ოპერაცია შეფასდება თვითღირებულებით, თუ სხვაგვარად არ არის მოთხოვნილი სხვა ფასს-ის მიერ, როგორიცაა ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები.* იმ შემთხვევებში, როდესაც ოპერაციები არ ითვალისწინებს ანაზღაურებას, ისინი შეფასდება ნულით.

ოპერაციები აქციონერებთან. კომპანია აქციონერებთან ოპერაციებს აღრიცხავს თვითღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი სტანდარტი მოითხოვს ოპერაციის რეალური ღირებულებით აღიარებას. აქციონერებთან, მათი, როგორც აქციონერის ფუნქციონირების შედეგად მიღებული ოპერაციების შედეგები, აღირიცხება საკუთარი კაპიტალის საშუალებით.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის დასტური, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების პირობები აღწერილია მე-6 შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა მისი გაზრდა 28 ათასი ლარით ან მისი შემცირება 28 ათასი ლარით (2022 წ. გაზრდა 19 ათასი ლარით ან შემცირება 19 ათასი ლარით).

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი შესწორებული სტანდარტები, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან:

ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკის განცხადება 2: სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (გამოცემული 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ნაცვლად. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ფასს 17 " სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემული 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 17 და ფასს 4-ის შესწორებები (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

გარდამავალი ოფცია მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ფასს 17-ში შეტანილ ცვლილებებს (გამოცემული 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

შესწორებები ბასს 8-ში: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

შესწორებები ბასს 12-ში მოგებიდან გადასახადები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – ფაზის ორმოდელიანი წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ცვლილებები ფასს 16-ში: იჯარა: საიჯარო ვალდებულება გაყიდვაში და უკუიჯარა (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი – შესწორებები ბასს 1-ში (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისსა და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება: მიმწოდებლის ფინანსური სქემები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს).

ბასს 14 მარეგულირებელი გადავადების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.)

შესწორებები ბასს 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები” (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს).

ბასს 18 პრეზენტაცია და დამჟღავნება ფინანსურ ანაგარიშგებებში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წელს აღიარებული კომუნალური დანახარჯი დაკავშირებულ მხარეებთან 61 ათას ლარს შეადგენს, ხოლო 2022 წელს იგივე ხარჯი 62 ათას ლარს შეადგენდა.

2023 წელს აღიარებული დაზღვევის დანახარჯი დაკავშირებულ მხარეებთან 17 ათას ლარს შეადგენს, ხოლო 2022 წელს იგივე ხარჯი 5 ათას ლარს შეადგენდა.

ზემოთ ხსენებული ტრანზაქციების გარდა კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არ ყოფილა სხვა გარიგება 2023 და 2022 წლების განმავლობაში.

კომპანიის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ანაზღაურება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 318 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო 2022 წლის განმავლობაში იგივე ხარჯმა 300 ათასი ლარი შეადგინა.

8. ამონაგები და შემოსავალი

ათასი ლარი	**2023**	**2022**
სწავლება	7,148	5,653
შემოსავალი დამატებითი კლასებიდან	103	26
სხვა ამონაგები	132	69
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**7,383**	**5,748**
შემოსავალი სახელმწიფო ვაუჩერიდან	394	349
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი	**7,777**	**6,097**

შემოსავლების აღიარების დრო (შემოსავლების თითოეული ნაკადისთვის) შემდეგია:

ათასი ლარი	**2023**	**2022**
დროის გარკვეულ მომენტში	22	17
დროის განმავლობაში	7,755	6,080
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**7,777**	**6,097**

ცხრილში ქვემოთ, მოცემულია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აღიარებული ამონაგების ოდენობები, რომლებიც საანგარიშო წლის დასაწყისში შეტანილ იქნა სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში:

8. ამონაგები და შემოსავალი (გაგრძელება)

სწავლებისთვის მისაღები მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები. კომპანიამ ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები აღიარა:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ა)	679	408
სახელშეკრულებო ვალდებულებები (ბ,გ)	1,654	1,267

(ა) სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-11 შენიშვნა, ამ ფინანსური ანგარიშგების სავაჭრო მოთხოვნების ნაწილი.

(ბ) სახელშეკრულებო ვალდებულებების მოძრაობა 2023 და 2022 წლების განმავლობაში შემდეგი იყო:

ათასი ლარი	2023	2022
1 იანვარს	**1,012**	**817**
აღიარებულია, როგორც ამონაგები წლის განმავლობაში	(7,047)	(5,520)
წლის განმავლობაში გადავადებული	7,498	5,715
31 დეკემბერს	**1,463**	**1,012**

მოსწავლეთაგან მიღებული სწავლის გადასახადი, როგორც წესი გადაიხდება ავანსად, სასკოლო სემესტრის დასაწყისში და თავდაპირველად აღირიცხება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება. ამონაგები აღიარდება პროპორციულად, შესაბამისი სასკოლო სემესტრის პერიოდის განმავლობაში, აკადემიურ დღეებზე დაყრდნობით. მოსწავლეებისგან მიღებული, მაგრამ გამოუმუშავებელი სწავლების საფასურის ნაწილი აღირიცხება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება და აისახება მოკლევადიან ვალდებულებებში, რადგან ასეთი თანხები წარმოადგენს იმ ამონაგებს, რომელსაც, კომპანია მოელის, რომ მიაკუთვნებს მოგება-ზარალს, მისი სწავლების ვალდებულებების შესრულების დაკმაყოფილებისას, ერთი წლის განმავლობაში.

ამონაგებში 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავალში აღიარებული საკონტრაქტო ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლის განმავლობაში	1,463	1,012
სულ	**1,463**	**1,012**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

8. ამონაგები და შემოსავალი (გაგრძელება)

(გ) 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო ვალდებულების ბალანსი აქტივების შეძენიდან წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ათასი ლარი	2023	2022
1 იანვარი	**255**	**338**
წლის განმავლობაში შესრულებული ვალდებულება	(102)	(133)
საპროცენტო ხარჯი	37	50
31 დეკემბერი 2023	**190**	**255**

საკონტრაქტო ვალდებულება აქტივების შეძენიდან. 2011 წლის 23 ივნისს შპს თბილისის მწვანე სკოლის დირექტორებმა კახა დავითურმა და ბაკურ სულაკაურმა საქართველოს მთავრობისგან შეიძინეს სკოლის არსებული მიწა და შენობა. 2012 წლის 28 სექტემბრის სასკოლო შესყიდვის ხელშეკრულების შესწორება მოიცავს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ახალი 1-ელ კლასელების ჩარიცხვის პასუხისმგებლობას მომდევნო 8 წლის განმავლობაში და სკოლის დამთავრებამდე უფასო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას. ანარიცხის ოდენობაა 191 ათასი და 255 ათასი ლარი, შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის მდგომარეობით. კომპანია აფასებს საშუალო ღირებულებას ყოველ მოსწავლეზე უფასო საგანმანათლებლო მომსახურებისთვის და აღიარებს შესაბამის ანარიცხს. წლის განმავლობაში აქტივების შეძენისას სახელშეკრულებო ვალდებულების შემცირება აღიარებულია ამონაგებში (2023: 102 ათასი ლარი და 2022: 133 ათასი ლარი). შესაბამისი ფინანსური ხარჯი შეადგენდა 37 ათას და 50 ათას ლარს, შესაბამისად, 2023 და 2022 ფინანსურ წლებში. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის შეძენისას საკონტრაქტო ვალდებულების მიმდინარე ნაწილმა შეადგინა 45 ათასი ლარი და 64 ათასი ლარი, ხოლო გრძელვადიანმა ნაწილმა 145 ათასი და 191 ათასი ლარი შეადგინა.

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	2023	2022
უსაფრთხოების ხარჯი	(72)	(36)
დასუფთავების ხარჯი	(67)	(58)
კომუნიკაციის ხარჯი	(9)	(13)
საბანკო ხარჯი	(2)	(2)
სხვა ხარჯები	(122)	(76)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**(272)**	**(185)**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

10. ძირითადი საშუალებები

მოძრაობა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	მიწა და შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისი აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა აქტივები	სულ
თვითღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,780**	**-**	**190**	**126**	**326**	**67**	**6,489**
შესყიდვები	-	814	23	66	132	4	1,039
ტრანსფერები	706	(706)	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,486**	**108**	**213**	**192**	**458**	**71**	**7,528**
შესყიდვები	-	396	3	109	108	5	621
ტრანსფერები	368	(504)	136	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,854**	**-**	**352**	**301**	**566**	**76**	**8,149**
დაგროვილი ცვეთა							
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**407**	**-**	**37**	**69**	**120**	**42**	**675**
წლის დანარიცხი	154	-	25	16	35	7	237
ჩამოწერები	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**561**	**-**	**62**	**85**	**155**	**49**	**912**
წლის დანარიცხი	170	-	28	22	47	8	275
ჩამოწერები	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**731**	**-**	**90**	**107**	**202**	**57**	**1,187**
ნარჩენი საბალანსო ღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,373**	**-**	**153**	**57**	**206**	**25**	**5,814**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,925**	**108**	**151**	**107**	**303**	**22**	**6,616**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,123**	**-**	**262**	**194**	**364**	**19**	**6,962**

2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითად საშუალებებში შესული იყო 158 ათასი ლარის, 135 ათასი ლარისა და 90 ათასი ლარის ღირებულების (შესაბამისად) სრულად ამორტიზებული აქტივები.

ყველა არსებული ძირითადი საშუალება უზრუნველყოფის სახით იყო დაგირავებული იპოთეკური საბანკო სესხის ფარგლებში (იხილეთ მე-14 შენიშვნა) კომპანიას არ აქვს უფლება ეს აქტივები დააგირაოს უზრუნველყოფის სახით, სხვა სესხებისთვის ან მიჰყიდოს ისინი სხვა საწარმოს, ბანკის ნებართვის გარეშე.

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

11. სავაჭრო მოთხოვნები

2023 წლის 31 დეკემბერსა და 2022 წლის 31 დეკემბერს სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	**31 დეკემბერი 2023**	**31 დეკემბერი 2022**
მისაღები სწავლების ღირებულება	1,188	830
სხვა დებიტორული დავალიანებები	38	30
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო მოთხოვნებში	**1,226**	**860**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(547)	(452)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**679**	**408**

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხებში (შეფასებულია არსებობის მანძილის საფუძველზე გამარტივებული მიდგომით) 2023 და 2022 წლებისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	**2023**	**2022**
ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის 1 იანვრის მდგომარეობით	**452**	**383**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხის დარიცხვა	208	179
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხის ანაზღაურება	(113)	(105)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხის ჩამოწერა	-	(5)
ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**547**	**452**

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

2023 წლის 31 დეკემბერი	**არა-ვადაგადაცილებული**	**30-90 დღე**	**90-180 დღე**	**სულ**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	74	254	898	**1,226**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0%	13%	57%	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	33	514	**547**

2022 წლის 31 დეკემბერი	**არა-ვადაგადაცილებული**	**30-90 დღე**	**90-180 დღე**	**სულ**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	71	177	612	**860**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0%	16%	69%	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	29	423	**452**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

11. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და ისინი როგორც წესი იფარება 0-დან 30 დღემდე ვადაში.

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ადგილობრივ ვალუტაში	1,147	1,104
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში უცხოურ ვალუტაში	144	138
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**1,291**	**1,242**

მიმდინარე ანგარიშებს პროცენტი ერიცხებათ. საპროცენტო შემოსავლებმა ბანკებში განთავსებულ თანხებზე 2023 წელს 82 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს _ 67 ათასი ლარი. კომპანიის ნაღდი ფული დაცულია ბანკში, რომელსაც 2023 და 2022 წლებში ჰქონდა გარე რეიტინგი BB+.

13. საწესდებო კაპიტალი

2022 წელს კომპანიის მფლობელებს არ განუხორციელებიათ კაპიტალში შენატანის ტრანზაქცია. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის მფლობელებმა კაპიტალი შეამცირეს 550 ათასი ლარით.

2022 წლის განმავლობაში დივიდენდის გადახდა არ მომხდარა, ხოლო 2023 წელს მფლობელებმა კომპანიიდან დივიდენდის სახით 450 ათასი ლარი გაიტანეს.

14. პროცენტიანი სესხები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე	498	505
გრძელვადიანი	3,434	3,739
სულ პროცენტიანი სესხები	**3,932**	**4,244**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები მოიცავდა ევროში გამოხატულ სამ სესხს პროკრედიტ ბანკისგან და ორ სესხს - თიბისი ბანკისგან, რომელთაგან ერთი გამოხატულია ევროში, ხოლო მეორე - ლარში.
სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ყველა არსებული ძირითადი საშუალებით (იხილეთ მე-10 შენიშვნა). ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული შესაბამისი ხარჯი 2023 წლის ფინანსური წლის განმავლობაში 342 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო 2022 წლის განმავლობაში ფინანსურმა ხარჯმა 264 ათასი ლარი შეადგინა.

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

14. პროცენტიანი სესხები (გაგრძელება)

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ათასი ლარი	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	**4,244**	**5,578**
დარიცხული საფინანსო ხარჯი	342	264
გადახდილი პროცენტი	(332)	(255)
ნასესხები სახსრების დაფარვა	(430)	(492)
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები	-	102
სავალუტო მოგება	108	(953)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,932**	**4,244**

15. გაუთვალისიწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების მიმართ არანაირი ვალდებულება არ შეიძლება იყოს დაკისრებული საგადასახადო ორგანოების მიერ მას შემდეგ, რაც გავა სამი წელი იმ წლის ბოლოდან, როდესაც დარღვევას ადგილი ჰქონდა.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადექვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის, ახალი და ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგანოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

დაზღვევა. საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია ვითარდება და მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელებული სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას არ გააჩნია მისი ქონების ან საქმიანობის შეჩერების სრული სადაზღვევო დაფარვა. სანამ კომპანია მიიღებს სათანადო სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

კლიმატის ცვლილება. კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და საზრუნავზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუმცა ხელმძღვანელობა აგრძელებს ამ სფეროში მოვლენების განვითარების მონიტორინგს.

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

16. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური რისკის მართვის მიზნები

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტის შემცველ სესხს და ნასესხებს სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანია დააფინანსოს კომპანიის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობები. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, რომლებიც წარმოიქმნება პირდაპირ მისი ოპერაციებიდან.

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, ლიკვიდურობის რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე და სულ, ორივესთვის, ერთი ღამის ფარგლებში და ერთი დღის ფარგლებში პოზიციებისთვის, რომლებიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რისკებისადმი დაქვემდებარებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.6894ლარი	**ევრო 1 ევრო = 2.9753 ლარი**	**აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.7020ლარი**	**ევრო 1 ევრო = 2.8844 ლარი**
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	–	144	–	138
ფინანსური აქტივები, სულ	**–**	**144**	**–**	**138**
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	–	3,838	–	4,145
სულ ფინანსური ვალდებულებები	**–**	**3,838**	**–**	**4,145**
მთლიანი ნეტო პოზიცია	**–**	**(3,694)**	**–**	**(4,007)**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

16. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ანალიზი ითვლის ლარის მიმართ სავალუტო კურსების სავარაუდო ცვლილებების ეფექტს მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში. ცხრილში უარყოფითი რიცხვები ასახავს პოტენციურ ნეტო შემცირებას მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან კაპიტალში, ხოლო დადებითი რიცხვები - პოტენციურ ნეტო ზრდას.

2023	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება	გამყარება	გაუფასურება
ევრო	10.00%	(369)	369

2022	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება	გამყარება	გაუფასურება
ევრო	10.00%	(401)	401

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ყოველდღიურად ადევნებს თვალს მსგავს ცვლილებებს და აწესებს შესაბამის ლიმიტებს, რომლის ფარგლებშიც კომპანიას შეუძლია იმოქმედოს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების შეუსაბამობასთან მიმართებაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკებს. ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაერთიანებული ოდენობები საბალანსო ღირებულებით, კატეგორიზებული სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასებისა და დაფარვის თარიღებს შორის უფრო ადრეული თარიღის მიხედვით:

ათასი ლარი	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	არა-მონეტარული	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	1,365	605	-	-	-	**1,970**
სულ ფინანსური ვალდებულებები	66	196	243	3,433	-	**3,938**
წმინდა პროცენტის სენსიტიურობის მაჩვენებელი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,299**	**409**	**(243)**	**(3,433)**	**-**	**(1,968)**
2022 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	1,313	337	-	-	-	**1,650**
სულ ფინანსური ვალდებულებები	71	223	227	3,776	-	**4,297**
წმინდა პროცენტის სენსიტიურობის მაჩვენებელი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,242**	**114**	**(227)**	**(3,776)**	**-**	**(2,647)**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

16. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი სავაჭრო მოთხოვნების, ასევე ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამო.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ნაშთები მოიცავს სწავლის ღირებულების სახით შემოსავლის მოთხოვნებს. კომპანიის საკრედიტო რისკზე გავლენას ძირითადად ახდენს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური გადახდისუნარიანობა. კომპანია ყველა ამ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს მართავს დებიტორებთან რეგულარული კომუნიკაციით. მნიშვნელოვანი შეფერხებების შემთხვევაში, კომპანია კლიენტისთვის ადგენს სწავლის მისაღები საფასურის ინდივიდუალურ გადახდის გრაფიკს.

მიმდინარე ანგარიშზე და მოკლევადიან ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი დებიტორული დავალიანების სტატუსიც.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა 1,970 ათას ლარს (2022 წლის 31 დეკემბერს: 1,650 ათასი ლარი) უტოლდებოდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის იყენებს ინდივიდუალური შეფასების მიდგომას, რადგან სავაჭრო მოთხოვნების პორტფელი შედგება შეზღუდული რაოდენობის მომხმარებლებისგან, რომლებსაც არ აქვთ საერთო საკრედიტო რისკების მახასიათებლები.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილს 2023 წლის 31 დეკემბრამდე ან 2022 წლის 31 დეკემბრამდე 24 თვით ადრე დაწყებული პერიოდების განმავლობაში და შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალის საფუძველზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება, რათა ასახული იყოს მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაცია, რომელსაც გავლენა აქვს მომხმარებლის უნარზე, მოახდინოს მოთხოვნების ანგარიშსწორება, როგორიცაა ინდივიდუალური მომხმარებლის, მათი საქმიანობის სექტორის სამომავლო პერსპექტივები და საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციაზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური ფაქტორები.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს შესაბამისი რეზერვების, საბანკო ობიექტების და სარეზერვო საკრედიტო ხაზების უზრუნველყოფით, ასევე საპროგნოზო და ფაქტიური ფულადი ნაკადების მუდმივად მონიტორინგის და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების სტრუქტურის შედარებით.

16. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს ისეთ არაფულად ვალდებულებას, როგორიც არის სახელშეკრულებო ვალდებულებები და აქტივის ნასყიდობიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ვალდებულებები (1,508 ათასი ლარი). სახელმწიფოს მიმართ კომპანიის ვალდებულების მიმდინარე წილი მოსწავლეების უფასოდ მისაღებად 45 ათას ლარს შეადგენს. კომპანიის დარჩენილი მიმდინარე ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 508 ათას ლარს შეადგენს (სავაჭრო ვალდებულებები, საგადასახადო ვალდებულებები და პროცენტიანი სესხები), რომელიც კომპანიის ლიკვიდურ მოკლევადიან აქტივებზე (სავაჭრო მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები) 1,970 ათას ლარზე ნაკლებია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები მისი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებისთვის შეთანხმებული დაფარვის პერიოდებით. ცხრილების შედგენა მოხდა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, უადრეს თარიღში, როდესაც კომპანიას შეუძლია მოითხოვოს გადახდა. ცხრილები მოიცავს ფულადი ნაკადების პროცენტსაც და ძირ თანხასაც. იმის გათვალისწინებით, რომ პროცენტის ნაკადები ცვალებადი განაკვეთის არის, არადისკონტირებული თანხა მომდინარეობს საპროცენტო განაკვეთის მრუდეებიდან ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. სახელშეკრულებო დაფარვის ვადები ეფუძნება უახლოეს თარიღს, როდესაც კომპანიისგან შესაძლოა მოითხოვონ გადახდა.

ათასი ლარი	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %	მოთხოვ-ნამდე	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5+ წელი	სულ	საბალანსო ღირებულება
2023 წლის 31 დეკემბერი								
უპროცენტო		6	-	-	-	-	6	6
ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	9.8 %	69	137	618	3,296	1,130	5,250	3,392
სულ მომავალი გადახდები ძირის და საპროცენტო გადახდების ჩათვლით		**75**	**137**	**618**	**3,296**	**1,130**	**5,256**	**3,938**
2022 წლის 31 დეკემბერი								
უპროცენტო		14	39	-	-	-	53	53
ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	8.1%	63	127	571	3,047	1,806	5,614	4,244
სულ მომავალი გადახდები ძირის და საპროცენტო გადახდების ჩათვლით		**77**	**166**	**571**	**3,047**	**1,806**	**5,667**	**4,297**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

16. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების ამომავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების შესაბამისად.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება უნდა გამჟღავნდეს.

იმ აქტივების, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ანალიზი, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	31 დეკემბერი 2023				31 დეკემბერი 2022			
ათასი ლარი	დონე 1 სამართლიანი ღირებულება	დონე 2 სამართლიანი ღირებულება	დონე 3 სამართლიანი ღირებულება	**საბალანსო ღირებულება**	დონე 1 სამართლიანი ღირებულება	დონე 2 სამართლიანი ღირებულება	დონე 3 სამართლიანი ღირებულება	**საბალანსო ღირებულება**
ფინანსური აქტივები								
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	-	-	679	679	-	-	408	408
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	1,291	-	1,291	-	1,242	-	1,242
სულ ფინანსური აქტივები	**-**	**1,291**	**679**	**1,970**	**-**	**1,242**	**408**	**1,650**
ფინანსური ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები	-	3,987	-	3,987	-	4,185	-	4,185
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	6	6	-	-	53	53
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**3,987**	**6**	**3,993**	**-**	**4,185**	**53**	**4,238**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

16. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. ამასთან, ამ გაურკვევლობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების გაყიდვისას ან ვალდებულებების შესრულებისას.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი (სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები) და ვალდებულება (სავაჭრო ვალდებულებები) ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. რაც შეეხება ნასესხებ სახსრებს, ცვლადი საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე, ნასესხები სახსრების მიმდინარე საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კოპანიის მიზანია მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაყიდოს აქტივები სესხის შემცირების მიზნით.

კაპიტალის ოდენობა, რომელიც კომპანიამ მართა 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო 3,407 ათასი ლარი და 2,829 ათასი ლარი, შესაბამისად.

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდის გაცემა. 2024 წლის 26 ივლისს კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით კომპანიამ გასცა დივიდენდი კომპანიის აქციონერების წილების პროპორციულად 500 ათასი ლარის ოდენობით.